

**ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების
სპეციალისტი 041060
მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

I. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი

II. პროფესიული განათლების საფეხური: მესამე

III. მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. პროგრამის მოცულობა: 30 პროფესიული კრედიტი;

სულ 750 საათი (1 კრედიტი-25 სთ);

აქედან: საკონტაქტო საათი -673 საათი;

დამოუკიდებელი -77 საათი.

მ.შ. საწარმოო პრაქტიკა - 18 კრ. (450 საათი);

V. პროგრამის ხანგრძლივობა – 19 კვირა (-5 თვე)

VI. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაიშვება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური, რაც დასტურდება საბაზო ზოგადი განათლების ატესტატით ან უფრო მაღალი საფეხურის განათლების დამადასტურებელი დოკუმენტით.

კონკურსის შემთხვევაში, სხვა თანაბარ პირობებში პროგრამაზე ჩარიცხვისას უპირატესობა ენიჭებათ იმ აპლიკანტებს, რომელთაც მიღებული აქვთ უფრო მაღალი შეფასება მათემატიკაში.

VII. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მომზადდეს პრაქტიკულ ფარმაცევტულ-საინჟინრო საქმიანობაზე ორიენტირებული სპეციალისტი, რომელიც შეიძლება დასაქმდეს მსხვილ და წვრილ ფარმაცევტულ საწარმოებში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია სამკურნალო ფორმებისა და ასევე ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების წარმოებასთან.

VIII. სწავლის შედეგი:

ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ფარმაცევტული წარმოებისათვის აუცილებელი დისციპლინების, მათ შორის მათემატიკის, ქიმიის, პროცესებისა და აპარატების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის ძირითადი პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ცოდნა; აცნობიერებს გართულებული ამოცანების შესასრულებლად საჭირო სპეციფიური ცოდნის აუცილებლობას. ფლობს წამალთა საქარხნო ტექნოლოგიების ძირითად საკითხებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია აღნიშნულ დისციპლინებში მიღებული ცოდნის საფუძველზე შეაფასოს დავალების შესასრულებლად აუცილებელი სხვადასხვა მიდგომა, შეარჩიოს სათანადო მეთოდები, ინსტრუმენტები და მასალები.
დასკვნის უნარი	შეუძლია სხვადასხვა რეჟიმით აპარატის მუშაობის პროცესში წარმოქმნილი პრობლემების გადასაწყვეტად ინფორმაციის არსებული წყაროებით სარგებლობა, მათი შეფასება და ანალიზი.
კომუნიკაციის უნარი	შეუძლია განსხვავებულ სიტუაციებში აპარატის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია; შეუძლია ეფექტურად გამოიყენოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები აპარატის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად; შეუძლია უცხოური ენის პრაქტიკულად გამოყენება სხვადასხვა სახის ტექნიკური ინსტრუქციებში გასარკვევად და კომუნიკაციისათვის.
სწავლის უნარი	საბუნებისმეტყველო საგნების – მათემატიკის, ზოგადი ქიმიის, ასევე უცხოური ენის, ინფორმატიკის შესწავლის შედეგად მიღებული ცოდნის, მნიშვნელოვანწილად სპეციალური საინჟინრო საგნების-ფარმაცევტული მრეწველობის პროცესების, წამალთა საქარხნო ტექნოლოგიის და სხვათა საფუძველზე შეუძლია წინასწარ განსაზღვრული ამოცანების ფარგლებში-ცალკეული ტექნოლოგიური ოპერაციების ჩატარების, ოპერაციის ოპტიმალური პირობების დადგენის და სხვა მსგავსი ამოცანების გადაწყვეტის თვალსაზრისით საკუთარ სწავლაზე პასუხისმგებლობის აღება.
ღირებულებები	განსხვავებულ სიტუაციებში, მათ შორის აპარატურის საგანგებო რეჟიმში მუშაობის და ავარიული სიტუაციების დროსაც მოქმედებს პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელი ღირებულებების შესაბამისად. აქვს პასუხისმგებლობის გრძნობა. აქვს გუნდში მუშაობის ჩვევები და იცავს ეთიკისა და მორალის პრინციპებს.

IX. სწავლის შედეგების რუქა

სასწავლო კურსები/მოდულები	კომპეტენციების ჩამონათვალი					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ინგლისური ენა				X		
ინფორმაციული				X		

ტექნოლოგიები						
მათემატიკა	X					
ზოგადი ქიმია	X					
უსაფრთხოება და შრომის დაცვა	X					X
ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია და ტექნიკა	X	X			X	
საწარმოო პრაქტიკა		X	X	X	X	X

X. სასწავლო გეგმა

#	ს ა გ ნ ე ბ ი	კრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება						სულ საათების რაოდენობა
			საკონტაქტო საათები					დამოუკიდებელი საათები	
			ლექცია/პრაქტიკული	ლაბორატორიული	სასწავლო პრაქტიკა	საწარმოო პრაქტიკა	შუალედური/დასკვნითი შეფასება		
1	ინგლისური ენა	2	30	-	-	-	4	16	50
2	ინფორმაციული ტექნოლოგიები	2	30	-	-	-	4	16	50
3	მათემატიკა	1	15	-	-	-	4	6	25
4	ზოგადი ქიმია	2	30	-	-	-	6	14	50
5	უსაფრთხოება და შრომის დაცვა	2	30	-	-	-	5	15	50
6	ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია და ტექნიკა	3	60	-	-	-	5	10	75
7	საწარმოო პრაქტიკა	18	-	-	-	442	8	-	450
	სულ	30	195	-	-	442	36	77	750

XI. პროგრამის განხორციელების სპეციფიკა

იხ. დანართი 1.

XII. სწავლების მეთოდები

წინამდებარე პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდებია:

- ლექცია
- დემონსტრირება
- პრაქტიკული მეცადინეობა
- ჯგუფში მუშაობა

ასევე შესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები. სწავლების კონკრეტული მეთოდები განსაზღვრებულია სწავლის შედეგების სპეციფიკიდან გამომდინარე, გაწერილია შესაბამის სილაბუსში.

XIII. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

კრედიტების მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ერთ-ერთი დადებითი შეფასებით:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 %
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 %
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 %
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 %

უარყოფითი შეფასებებია:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41%-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.

სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად - მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება ითვალისწინებს:

- ა) შუალედურ შეფასებას
- ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის შედეგი დადებითად ითვლება, თუ სტუდენტმა გადალახა ა მ გამოცდისათვის გამოყოფილი ქულების 50%-იანი ზღვარი.

პროგრამის ცალკეულ კომპონენტში გამოყენებული შეფასების ფორმები და კრიტერიუმები დეტალურადაა გაწერილი შესაბამის სილაბუსებში.

XIV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ

კურსი/მოდული/საგანი	სახელი, გვარი	კვალიფიკაცია
---------------------	---------------	--------------

ინგლისური ენა	ნონა ჩიხლაძე	ინგლისური ენის მასწავლებელი
ინფორმაციული ტექნოლოგიები	დავით სვანიძე	მათემატიკოსი, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენება
მათემატიკა	დავით სვანიძე	მათემატიკოსი, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებათა გამოყენება
ზოგადი ქიმია	მზევინარ ქათამაძე	ქიმიკოსი
უსაფრთხოება და შრომის დაცვა	მანანა ხაბაძე	პროფიზორი
ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია და ტექნიკა	თამარ თურმანიძე	ფარმაცევტი
საწარმოო პრაქტიკა	ნაზი ტაკიძე	ფარმაცევტი, ქიმიური ტექნოლოგიის ინჟინერი

XV. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ

საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის გამოიყენება შპს „ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის“ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: აუდიტორიები, ფარმაკო-ქიმიის კაბინეტი, კომპიუტერული კაბინეტი, ინვენტარი. კომპიუტერული კლასი ჩართულია ინტერნეტში. პროფესიული სტუდენტები ისარგებლებენ სპეციალური ლიტერატურით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკით.

სტუდენტების პროფესიული დაოსტატების მიზნით გათვალისწინებულია საწარმოო პრაქტიკის გავლა. იგი ითვალისწინებს შემენილი თეორიული ცოდნის გაღრმავებას და პროფესიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას პრაქტიკულ საქმიანობაში. საწარმოო პრაქტიკის გავლა უზრუნველყოფილი იქნება ფარმაცევტული პრეპარატების მწარმოებელი შპს „ბიოპოლუსის“ ბაზაზე.

XVI. სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად დამთავრების შემდეგ, სტუდენტს საშუალება ეძლევა სწავლა გააგრძელოს ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მეოთხე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით.

XVII. ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ:

ნაზი ტაკიძე - ფარმაცევტი, ქიმიური ტექნოლოგიის ინჟინერი;
 აქვს პროფესიით მუშაობის გამოცდილება;

2014 წლიდან მოწვეულია შპს „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში“ პროფესიული მასწავლებლის პოზიციაზე.

საკონტაქტო ტელ: 577 29 09 17

ელ. ფოსტა: nazi.takidze@biopolus.com